პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 113 (13507) | ხუთშაბათი, 19 მაისი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

17 მაისს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სახახლეში გაიხსნა სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის XV ყრილობა. საბჭოთა ქვეყნის 23 მილიონიანმა კომკავშირმა თავის ყრილობაზე გაგზავნა ოთხი ათასამდე დელეგატი. ყრილობაზე ჩავიდნენ მსოფლიოს 72 ქვეყნის ახალგაზრდულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებიც.

* * *

სურათზე: ყრილობის სხდომის დარბაზში.

საკდესის ფოტოქრონიკა.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „საზოგადოებრივი წარმოების განვითარებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გადიდების შესახებ“.

ამ დადგენილებით კოლმეურნეობებს რჩება ეძლევათ 1966 წლის 1 ივლისიდან შემოიღონ კოლმეურნეთა შრომის გარანტირებული ანაზღაურება (ფულით და ნატურით), ამასთან იხელმძღვანელონ საბჭოთა მეურნეობების შესაბამისი კატეგორიების მუშაკთა სატარიფო განაკვეთებით. გამომუშავების ნორმები უნდა დაწესდეს კონკრეტული პირობების გათვალისწინებით გამომუშავების იმ ნორმების შესაბამისად, რომლებიც მოქმედებენ ანალოგიური სამუშაოებისათვის საბჭოთა მეურნეობებში.

რეკომენდებულია, რომ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობისათვის გარანტირებულ ანაზღაურებასთან ერთად მოხდეს კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება მათი შრომის საბოლოო შედეგისათვის (წარმოებული პროდუქციის რაოდენობისა და ხარისხისათვის, ან მიღებული საერთო შემოსავლისათვის).

კოლმეურნეობების საწარმოო-საფინანსო გეგმებში გათვალისწინებული უნდა იყოს კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებისათვის საჭირო ფულადი და ნატურალური ფონდები და მათი გამოყენება მხოლოდ მიზნობრივი დანიშნულებით.

შრომის გარანტირებული ანაზღაურების მიხედვით კოლმეურნეებს ანგარიში უნდა გაუსწორდეს ფულით სულ ცოტა თვეში ერთხელ, ხოლო ნატურით პროდუქციის მიღების ვადების შესაბამისად.

დადგენილია, რომ კოლმეურნეობებში შემოსავლის განაწილების დროს უწინარეს ყოვლისა უნდა გამოიყოს სახსრები კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებისათვის.

სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე კოლმეურნეთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად კოლმეურნეობებმა უნდა შექმნან შრომის მიხედვით განაწილების გარანტირებული ნატურალური ფონდი, ამ ფონდისათვის გამოყონ მარცვლეული და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების საერთო მოსავლის გარკვეული წილი, რათა კოლმეურნეებს, თავიანთი სურვილისამებრ, შეეძლოთ მიიღონ შრომის გარანტირებული ანაზღაურების ანგარიშში მარცვალი და სხვა პროდუქტები, აგრეთვე იმ პირუტყვის საკვები, რომელიც მათს პირად საკუთრებაშია, იმ ოდენობითა და წესით, რომელსაც კოლმეურნეობის საერთო კრება დაადგენს.

კოლმეურნეთა შრომის გარანტირებული ანაზღაურების შემოღებასა და მის შემდგომ გადიდებას საფუძვლად უნდა ედოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდება, შრომის ნაყოფიერების ზრდა, შრომის ნორმირებასა და ტარიფიკაციაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, სამმართველო და მომსახურე პერსონალის რაოდენობაში ზედმეტობათა ლიკვიდაცია, არამწარმოებლური ხარჯების მკვეთრი შემცირება და მომჭირნეობის რეჟიმის მკაცრი დაცვა.

თუ კოლმეურნეობებს არ ჰყოფნით საკუთარი სახსრები, რათა უზრუნველყონ კოლმეურნეთა შრომის გარანტირებული ანაზღაურება ამ დადგენილების პირველი პუნქტის შესაბამისად, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი მოვალეა 1966-1970 წლებში ასეთ კოლმეურნეობებს მისცეს კრედიტი, რომლის ვადა ხუთ წელს არ უნდა აღემატებოდეს, იმ თანხის ფარგლებში, რომელიც გათვალისწინებულია კოლმეურნეობების გრძელვადიანი დაკრედიტების გეგმებით. აღნიშნული კრედიტი კოლმეურნეობებს ეძლევათ მათი განაცხადების შესაბამისად, რომლებსაც რაიონული აღმასკომები განიხილავენ და ამტკიცებენ.

კრედიტის ოდენობა განისაზღვრება შრომის გარანტირებული ანაზღაურების ფონდსა და კოლმეურნეობათა იმ საკუთარ სახსრებს შორის განსხვავების ფარგლებში, რომლებიც გათვალისწინებულია ამ მიზნისათვის საწარმოო-საფინანსო გეგმებით.

აღნიშნულ კრედიტს კოლმეურნეობები ფარავენ, დაწყებული მისი მიღების მესამე წლის შემდეგ, პირველ რიგში ბიუჯეტის გადასახდელების შეტანის შემდეგ.

იმასთან დაკავშირებით, რომ ავტონომიურმა რესპუბლიკებმა, მხარეებმა, ოლქებმა და რაიონებმა უკვე მიიღეს კოლმეურნეობების გრძელვადიანი დაკრედიტების 1966 წლის გეგმები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დავალათ კოლმეურნეთა შრომის გარანტირებული ანაზღაურების უზრუნველსაყოფად, თუ საჭირო იქნა, ხელახლა გაანაწილონ გრძელვადიანი კრედიტები ავტონომიურ რესპუბლიკებს, მხარეებს, ოლქებს, რაიონებსა და კოლმეურნეობებს შორის.

სამზადისი რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის შესახვედრად

დიდი სახალხო ზეიმი

„კომუნისტის“ ინტერვიუ საშვარი რუსთაველის საიუბილეო რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარესთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან

გ. დ. ჯავახიშვილთან

1966 წელი რუსთაველის წელიწადია. მთელი ჩვენი ხალხი, მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ გენიალური ავტორის — შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. ამ ღირსსასოვარ თარიღს მშვიდობის მოყიფიერ საბჭოს გადაწყვეტილებით აღნიშნავს აგრეთვე მსოფლიოს პროგრესიული კაცობრობა.

ასლოვდება რუსთაველიანის საიუბილეო თვე — სექტემბერი. ამ ამ[illegible]ოთან დაკავშირებით „კომუნისტის“ რედაქციამ სთხოვა რუსთაველის საიუბილეო რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ბ. ი. დ. ბ. ბ. ბ

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ს. პ. პავლოვის მოხსენება

ეხლა, თქვა ს. პ. პავლოვმა, ჩვენ ყველამ უდიდესი ყურადღებით მოვისმინეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მოხსენება და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება სრულიად საკავშირო ალკკ XV ყრილობისადმი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გულთბილ სიტყვაში ლენინური კომკავშირი ხედავს მოქმედების ხელმძღვანელობას, წინსვლის მკაფიო და ნათელ გზას.

სულ ცოტა ხნის წინათ, აქ, ამ დარბაზში, მიმდინარეობდა სკკპ XXIII ყრილობა — უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც მოასწავებს ჩვენი პარტიისა და სამშობლოს ისტორიის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის დიდმნიშვნელოვან ეტაპს. ყრილობამ ცხადყო პარტიის მონოლითური ერთობა, დიდი საბრძოლო სულისკვეთება, ბოლშევიკური პრინციპიულობა და საქმიანობა, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობა.

სკკპ XXIII ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი ზუსტად შეიწერებული და ღრმად დასაბუთებულია. ამ გადაწყვეტილებებში კიდევ უფრო განვითარდა პარტიული ცხოვრების, დემოკრატიის განმტკიცებისა და გაფართოების, დიდი კომუნისტური შეგნებულობის სულისკვეთებით საბჭოთა ადამიანების აღზრდის ლენინური პრინციპები, მეცნიერული მიდგომა სოციალისტური ეკონომიკის ხელმძღვანელობისადმი.

ყრილობის მუშაობამ, მისმა დოკუმენტებმა დაადასტურეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმისა და მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა სისწორე, ცხადყვეს ჩვენი პარტიის ურყევი ერთგულება ლენინის რევოლუციური მოძღვრებისადმი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პარტიის XXIII ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებს, როცა ხაზი გაუსვა პარტიის, კომკავშირისა და ყველა სხვა ორგანიზაციის პასუხისმგებლობას ამ უმნიშვნელოვანესი საქმისათვის.

დღეს ჩვენს პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს ვეუბნებიან, განაცხადა ს. პ. პავლოვმა, კომკავშირელები, საბჭოთა ქალიშვილები და ჭაბუკები სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს აღიქვამენ როგორც თავიანთ საქმიანობის საბრძოლო პროგრამას. ისინი ამაყობენ, რომ პარტიას სწამს ახალგაზრდობის ძალა და იმ ნდობით აღფრთოვანებულნი ყოველთვის და ყველაფერში კომუნისტურ პარტიას გაჰყვებიან!

რევოლუციური განვითარების ყველა ეტაპზე, განსაკუთრებით ომმხსენებელმა, ახალგაზრდობა იყო აქტიური, ქმედითი ძალა, პარტიის სამედო თანამეშრე და საბრძოლო რეზერვი.

ჩვენმა ახალგაზრდობამ კარგად იცის, რომ მისი მომავალი, მისი ბედნიერება მისსავე ხელთაა. მერე და რა სასიხარულოა იმის შეგნება, რომ სამშობლო, პარტია, ჩვენი საბჭოთა ხალხი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ახალგაზრდობას, თითოეულ ახალგაზრდას დაეხმარონ გამოავლინოს თავისი ნიჭი, ენერგია, ინიციატივა, ისინი ყოველნაირად უწყობენ ხელს მათ ახალგაზრდულ სულისკვეთებას, დიდად აფასებენ ახალგაზრდობის შრომითს ენთუზიაზმს. დღეს სიხარულით შეეტყვეთ, რომ ბრატსკის, ვოლკისკის, ყდანოვის, კრივოი როგის, ნორილსკისა და რუდნის კომკავშირელების, ახალგაზრდა პატრიოტების შრომა პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად შეაფასეს. სულითა და გულით ვუღოცავთ ჩვენს ამხანაგებს და ღრმად გვწამს, რომ ამ ქალაქების კომკავშირული ორგანიზაციები, ახალგაზრდობა, და მათთან ერთად მთელი ჩვენი კომკავშირი კიდევ უფრო შეუპოვრად, ბეჯითად იშრომებს.

სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის შემადგენლობაში 348 ათასი პირველადი ორგანიზაციაა. მათი ბრძოლისუნარიანობა და საქმიანობა ძალას მატებს მთელ კომკავშირს, განსაზღვრავს მის ავტორიტეტს ახალგაზრდობის თვალში. თავის მხრივ, ყოველი კომკავშირული უჯრედის ძალაა თითოეული კომკავშირელის აქტივობა, ინიციატივა და თვითმქმედება. ყოველივე საუკეთესო, რაც ადამიანშია, ამდიდრებს კოლექტივს, ხოლო ყოველივე საუკეთესო, რაც კოლექტივშია, თითოეულ კომკავშირელის საკუთრება ხდება, ხელს უწყობს მისი ინდივიდუალობის გაფურჩქვნას.

საანგარიშო პერიოდში კომკავშირის რიგებში შევიდა 15 მილიონზე მეტი კაცი. ეს დამაჯერებლად გვიჩვენებს მისი ავტორიტეტის აღიარებას, საბჭოთა ქალიშვილებისა და ჭაბუკების გულწრფელ მისწრაფებას ჩვენს რიგებში გაიაროონ კომუნისტისათვის ბრძოლის სკოლა.

ლენინური კომკავშირის მუშაობის ძირითადი შინაარსი იყო და კვლავ არის:

— აღზარდოთ ყოველმხრივ განვითარებული და განათლებული, რევოლუციური იდეალების, საბჭოთა ხალხისა და კომუნისტური პარტიის საბრძოლო და შრომითი ტრადიციების ერთგული ახალგაზრდები, ჩავუნერგოთ მათ მარქსისტულ-ლენინური თვისებები, ღრმა იდეური რწმენა;

— ყოველმხრივ ავამაღლოთ ახალგაზრდა თაობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა, გავაძლიეროთ მისი პრაქტიკული მონაწილეობა კომუნისტურ მშენებლობაში, ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში;

— ჩავუნერგოთ ახალგაზრდობას საბჭოთა პატრიოტიზმის, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის კეთილშობილური გრძნობა, რომ მზად იყოს იარაღით ხელში დაიცვას ოქტომბრის მონაპოვარნი, სოციალისტური სამშობლოს წმიდათაწმიდა საზღვრები;

— ჩავუნერგოთ ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგულება მთელი მსოფლიოს მშრომელთა წინაშე, და მებრძოლური შეურიგებლობა ბურჟუაზიული იდეოლოგიის, იმპერიალიზმის ხრიკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამ რთულ ამოცანათა გადაწყვეტა მოითხოვს აღმზრდელობითი მუშაობის ყველაზე ეფექტური ფორმებისა და მეთოდების მაქსიმალურად გამოყენებას, დამოკიდებულია იმაზე, რამდენად მშვიდრო და ნაყოფიერი იქნება ჩვენი თანამშრომლობა სახალხო განათლებისა და კულტურის ორგანოებთან, პროფკავშირულ და შემოქმედებითს გაერთიანებებთან, თავდაცვითსა და სპორტულ ორგანიზაციებთან.

არის კიდევ ერთი აუცილებელი პირობა. ცხობილია, ის ხე დგას ურყევად და ლაღად გაშლია მწვანე ტოტები, რომელსაც ღრმად აქვს გადგმული ფესვები. ასევე ადამიანიც მით უფრო ურყევად და მტკიცედ მიაბიჯებს ცხოვრების გზაზე, უფრო გაბედულად შეაყუჯრებს მომავალს, რაც უფრო უკეთ იცის თავისი ხალხისა და პარტიის გმირული წარსული, რაც უფრო მეტად ეყრდნობა უფროს თაობათა ისტორიულ გამოცდილებას.

ჩვენი ქვეყნის ისტორია დიდი ისტორიაა; ჩვენ გვაქვს მოსაგონარიც და საამაყოც. სულ ხახვევი საუკუნის განძილზე ჩვენმა ხალხმა განვლო ცხოვრების ყველა მხარის კოლოსალური გარდაქმნების გზა: შეიქმნა პრინციპულად ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა, გიგანტურად განვითარდა წარმოება, განათლება, მეცნიერება და კულტურა. მაგრამ ჩვენი პარტიის უდიდესი მონაპოვარია ახალი ადამიანის, მებრძოლისა და შემქმნელის, სოციალიზმის ყველა მოღვაწის შემოქმედის აღზრდა.

ეს წმიდათაწმიდა მონაპოვარია. ისინი მოპოვებულია შეუპოვარი შრომით, საბრძოლო მგზრობით, ჩვენი დედებისა და მამების სისხლით. საბჭოთა ახალგაზრდობა ქედს იხრის უფროს თაობათა მამაცობისა და თავდადების წინაშე, მუდამ ეხსომება და ღირსეულად განაგრძობს მათს დიდ საქმეს.

დღეს, თქვა ს. პ. პავლოვმა, კომკავშირელთა თითქმის ნახევარს აქვს საშუალო, დაუმთავრებელი უმაღლესი და უმაღლესი განათლება, სრულიად საკავშირო ალკკ რიგებში გაერთიანებულია მილიონზე მეტი უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტი, მაშინ როცა 20 წლის წინათ კომკავშირში გაერთიანებული იყო მხოლოდ 62 ათასი სპეციალისტი. ეკონომიკის სწრაფ განვითარებასა და მისი დარგების რიცხვის გადიდებასთან დაკავშირებით წარმოშვა მრავალი ახალი პროფესია.

ლენინური კომკავშირის უპირველესი ამოცანა ის არის, რომ ყოველი კატეგორიისათვის მრავალფეროვანი, სპეციფიკური საშუალებისა და ფორმების მეოხებით ვაზიაროთ ახალგაზრდობა მარქსისტულ-ლენინური აზრის საგანძურს, დიადი კომუნისტური საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლას.

ჩვენ შეიარაღებული ვართ არა მარტო მსოფლიოში ყველაზე მოწინავე იდეოლოგიით, არამედ ჩვენს ხელშია პროპაგანდის მასობრივ საშუალებათა მდიდარი არსენალი.

მართლაც, მარტო ახალგაზრდული გაზეთებისა და ჟურნალების ერთჯერადი ტირაჟი 40 მილიონს აღემატება! „კომსომოლსკაია პრავდა“ ტირაჟი XIV ყრილობის შემდეგ 2,5 მილიონით გაიზარდა და ახლა 6,5 მილიონზე მეტს შეადგენს. „პიონერსკაია პრავდა“ გამოდის 8 მილიონზე მეტი ტირაჟით. ამავე დროს მანძილზე 3-4-ჯერ გაიზარდა ისეთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გამოცემათა ტირაჟები, როგორიც არის „მოლოდი კომუნისტ“, „კომსომოლსკაია ჟიზნ“. სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით შეიქმნა რადიოსადგური „ხუნსტი“, საბავშვო და ახალგაზრდობის გადაცემათა მთავარი რედაქცია ცენტრალურ ტელევიზიაში.

ახალგაზრდული პრესა, რადიო, ტელევიზია სულ უფრო აქტიურად გამოდის ახალგაზრდობის უშუალო ორგანიზატორის როლში, კისრულობს კომკავშირელ ორგანიზაციებში საქმის მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობის ორსებით ნაწილს.

როგორც ჩანს, ამასთან დაკავშირებით ზოგიერთ აქტივისტს ეშალება კითხვა: ხომ არ არის დრო უარი ვთქვათ პოლიტიკური განათლების წრეებსა და სემინარებზე? არა, ასეთ აზრს არ შეიძლება დავეთანხმოთ. და არა მარტო იმიტომ, რომ არაფრით არ შეიძლება შეცვალოთ ცოცხალი ურთიერთობა, საუბარი, ფილუტები. ასევე როგორც არმიაში, რაგინდ სრულყოფილი იყოს მისი ტექნიკური აღჭურვილობა, გადამწყვეტ ძალად რჩება ადამიანი, ასევე პროპაგანდაშიც, რაგინდ სრულყოფილი იყოს მისი მასობრივი საშუალებანი, მთავარ ფიგურად რჩება პროპაგანდისტი, მისი გულში ჩამწვდომი სიტყვა.

სრულიად საკავშირო ალკკ XIV ყრილობის შემდეგ ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა მოიწონეს ისეთი აქტიური ფორმები, როგორიც არის პოლიტიკური კლუბები, ახალგაზრდა მარქსისტის უნივერსიტეტები, ლენინური გაკვეთილები, თეორიული სემინარები და კონფერენციები თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებზე. სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი ცდილობს პოლიტიკური განათლება დაუახლოოს სხვადასხვა კატეგორიის ახალგაზრდობის მოთხოვნილებებსა და ინტერესებს ახალგაზრდობის ასაკისა და განათლების გათვალისწინებით.

სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილება, რომ პარტიაში 23 წლამდე ასაკის ახალგაზრდობა მიღებულ იქნეს მხოლოდ და მხოლოდ სრულიად საკავშირო ალკკ მეშვეობით, კომკავშირულ ორგანიზაციებს კიდევ უფრო დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს მომავალი კომუნისტების აღზრდისა და პოლიტიკური განათლებისათვის, იმისათვის, რომ მათ საფუძვლიანად იცოდნენ ჩვენი პარტიის ისტორია.

ქალიშვილებსა და ჭაბუკებს იდეურ-პოლიტიკური აღზრდის წარმატება წარმოუდგენელია, თუ არ ავამაღლეთ მათი ზოგადი განათლების დონე. საანგარიშო პერიოდში დიდი გასაქანი მიეცა საღამოსა და დაუსწრებელ სწავლებას. სრულიად საკავშირო ალკკ XIV ყრილობის შემდეგ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მოსწავლეთა რიცხვი გაიზარდა 1,6 მილიონი კაცით, დაუსწრებელებისა კი ერთისამად. ცოდნის დაუფლება, ახალგაზრდობის ზოგადი განათლების დონის ამაღლება — კომკავშირული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

პოლიტიკური მუშაობა ახალგაზრდობაში წარმოუდგენელია, თუ ამ მუშაობაში მონაწილეობა არ მიიღეს კომკავშირელმა მუშაკებმა და აქტივისტებმა. მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ კომკავშირული მუშაკები და აქტივისტები თავიანთი ცოდნის გამოყენებით ეუფლებოდნენ კამათის, აგიტაციის, დარწმუნების ხელოვნებას, განივითარონ ლექტორის, ორატორის, მასების პოლიტიკური ორგანიზატორის ოსტატობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმის შემდეგ გამართულ სრულიად საკავშირო ალკკ კრებებზე, კონფერენციებზე, ყრილობებზე, ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე განხილავდნენ კომკავშირის საქმიანობის უმნიშვნელოვანეს, საკვანძო საკითხებს. VII პლენუმმა განსაზღვრა კომკავშირის კომიტეტების მუშაობის სტილის შემდგომი გაუმჯობესებისა და სრულყოფის გზები, მოითხოვა კომიტეტებისაგან გადაკრით ჩამოშორონ ყოველივე სხვისეული, მეორეხარისხოვანი ბებერ, ბეჭითად ეშრომონ.

ეხლა, ამ ბრძოლაში, ჩვენ ყველამ ერთ-ერთ ადგილზე ვდგავართ. ეს ადგილი ეკუთვნის ჩვენ ყველას, ეს ადგილი ეკუთვნის ჩვენ ყველას, ეს ადგილი ეკუთვნის ჩვენ ყველას,

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკების სსრკ ორდენებით და მედლებით დაჯილდოების შესახებ

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

(გაგრძელება)

ალიევი ჰასან ომარ ოღლი — ბოლნისის რაიონის XIX პარტყრილობის სახელმწიფო კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ალიევი ისრაფილ ალი ოღლი — ბოლნისის რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

ალიევა მალეიკა ასად ყიზი — ბოლნისის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ამბოკაძე ვახტანგ ანდროს-ძე — ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის განყოფილების გამგე.

ამბოკაძე ნიკოლოზ ანდრიას-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსი.

ამბროლაძე გივი გრიგოლის-ძე — ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მხეზავი.

ამირაგოვი ალექსანდრე აბგარის-ძე — მებოსტნეობა-მეთბილეულების საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მთავარი ზოოტექნიკოსი.

ანანიაშვილი სოსო მიხეილის-ძე — თბილისის საფინანსო-ეკონომიური ტექნიკუმის დირექტორი.

ანიორგულოვი ვართან გარეგინის-ძე — თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელო ქარხნის ხარატი.

ანიროვა გულნაზ ყადირის ასული — ბოლნისის რაიონის თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკის მეფრინველე.

ანირხანიანი ვერონიკა მისაკის ასული — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ უჯმანის კოლმეურნეობის მწველავი.

ანოიაშვილი ოთარ იოსების-ძე — გურჯაანის რაიონის სოფელ შრომის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

ანაზასიანი რუბენ ადამის-ძე — საქართველოს სავაჭრო საშუამდგომლო კანტორის დირექტორი.

ანდღულაძე გიორგი ვალერიანის-ძე — რუსთავის ცემენტის ქარხნის ლაბორატორიისა და ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი.

ანდღულაძე ნიკოლოზ იოსების-ძე — ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათის კოლმეურნეობის აგრონომი.

ანჯაფარიძე ზეინაბ გრიგოლის ასული — თბილისის ქარხანა „გაზაპარატის“ მზეზეველი.

ანჯაფარიძე ეთერ ბორისის ასული — ცხაკაიის რაიონის ძველი სენაკის სიჯიშე მეღორეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

ანდრესიანი გარეგინ ვართანის-ძე — წალკის რაიონის სოფელ აშკალის კოლმეურნეობის ტრაქტორისტი.

ანდრიაძე ვლადიმერ ერასტის-ძე — თბილისის ორთოქმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ზეინკალი.

ანდრიაძე კორნელი დიანოსის-ძე — წულუკიძის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომი.

ანთაძე ვალენტინ მიხეილის-ძე — ქ. თბილისის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს სამსახურის უფროსი.

ანუფრიევი ოლეგ ივანეს-ძე — საბჭოთა არმიის ჯარისკაცი.

ანფიმიადი გიორგი სტეფანეს-ძე — დმანისის რაიონის სოფლის-მეურნეობის საწარმოო სამმართველოს მთავარი აგრონომი.

აფაქიძე ალექსანდრე ბაგრატის-ძე — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილე.

აფრიამაშვილი სტეფანე ბვანეს-ძე — „ახალციხეკვანაბშრომის“ მაღაროთა სამმართველოს № 1 მახტის ბრიგადირი.

აფციაური ირსენ გიორგის-ძე — თეთრი წყაროს რაიონის ორბეთის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

აფციაური ივანე გაბრიელის-ძე — თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ალექსეევკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

აფციაური ფილიპე აბრამის-ძე — დუშეთის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე.

არაბაშვილი ილია ალექსანდრეს-ძე — გორის რაიონის სოფელ შინდისის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

არავიაშვილი ბარბარე იოსების ასული — ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე.

არახამია რაფდენ პლატონის-ძე — ჩხოროწყუს რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის აგროტექნიკოსი.

არახანია დინარა ილიას ასული — გეგეჭკორის რაიონის დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

არველაძე სერგი ვარლამის-ძე — წყალტუბოს რაიონის ქვიტირის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე.

არველიძე ვალერიან ალექსანდრეს-ძე — სამტრედიის საკოლმეურნეობათაშორისო მეღორეობის სუქების ფერმის მეღორე.

არეშიძე გივი ევსევის-ძე—ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ ახალი ირმახის მაღაროთა სამმართველოს ექსკავატორის მექანიკანი.

არეშიძე ქრისტეფორე იოსების-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ორგანული კატალიზის ლაბორატორიის გამგე.

არობელიძე პალიკო ვლადიმერის-ძე — მახარაძის № 6 სამშენებლო სამმართველოს ბრიგადირი.

არისია ვენერა ივანეს ასული — გეგეჭკორის რაიონის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

არშიები იოსეფ ვიანეს-ძე — ბოლნისის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ფაბრიკის ჯარისკაცი.

ასათიანი მერი ტიხონის ასული — ქუთაისის ბალანჩინაძის სახელობის მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგი.

ასათიანი მიხეილ სტეფანეს-ძე — „სამტრესტის“ მთავარი შამპანისტი.

ასათიანი მიხეილ ერასტის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი.

ასათიანი ნუგზარ პლატონის-ძე — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ასათიანი შალვა სამსონის-ძე — თბილისის ქარხანა „ელექტრომძრავის“ მეყალიბე ჩამომსხმელი.

ასატუროვი ოჰანეზ ასატურის-ძე — მარნეულის რაიონის ყულარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

ასაშვილი სარდიონ გრიგოლის-ძე — „თბილმთავარმშენის“ № 5 სამშენებლო სამმართველოს მეპარკეტეთა ბრიგადირი.

ასტვაცატუროვი ირმენაკ პაღლუს-ძე — გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 9 უბნის უფროსი.

ასტვაცატუროვი ერემია დარჩოს-ძე — მწერალი.

ათაბეკიანი არმენაკ სტეფანეს-ძე — „საქმოთავარენერგოს“ თელასის უფროსი ელექტრომონტიორი.

ათანელოვი მიხეილ ისრაელის-ძე — კინოსტუდია „ქართული-ფილმის“ ხმის ტექნიკის საამქროს უფროსი.

ახალაძე გოგუცა ილიის ასული — მაიაკოვსკის რაიონის დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ახალაძე ივანე ნიკოლოზის-ძე — მაიაკოვსკის რაიონის დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ახალაძე ოლია ვლადიმერის ასული — სამტრედიის რაიონის 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ახალაძე იაკობ სევერიანეს-ძე — მაიაკოვსკის რაიონის ვარციხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის აგრონომი.

ახვლედიანი ნიკოლოზ სერგის-ძე — ცაგერის რაიონის სოფელ დეხვირის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ახმედოვი გაიბ ბაირამ ოღლი — მარნეულის რაიონის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

ახმეტელი ოთარ სოლომონის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწე.

აშეროვი ახმედ ამირის-ძე — თელავის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის საბჭოს თავმჯდომარე.

აშეროვა სალატან მამედ ყიზი — ბოლნისის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

აშჩიანი არტაშ პაპელეს-ძე — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სამმართველოს უფროსი.

ბაკაშვილი იოსებ სერგის-ძე — № 2 ავტოსატრანსპორტო ტრესტის მმართველის მოადგილე.

ბაბაევი ჰამიდ ბარგახ ოღლი — მარნეულის რაიონის შაუმიანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის განყოფილების მმართველი.

ბაბაკოვა ნატალია გრიგოლის ასული — ზუგდიდის რაიონის ონანრიის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

ბაბაშვილი მუსა მამედ ოღლი — ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ მერგოლური.

ბაბილუა ვლადიმერ ლუკას-ძე — ტრესტ „წყალმშენის“ № 6 სამშენებლო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი.

ბაბლიძე ეკატერინე ილიას ასული — მხატვარი-კერამიკოსი.

ბაბუნაშვილი პავლე ალექსანდრეს-ძე — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ინსპექტორი.

ბაგაური პავლე პეტრეს-ძე — ახმეტის რაიონის ფიჩხოვანის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბაღათურია აკაკი ისიდორეს-ძე — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ექსპლოატაციის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

ბაღათურია ნუნუ შალვას ასული — მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების საშუალო სკოლის მოსწავლე.

ბაღათურია შექერი ლეონტის-ძე — ხობის რაიონის საჯიოს ვეტერინარული პუნქტის გამგე.

ბაღაშვილი ეფემია აბრამის ასული — წითელწყაროს რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის უფროსი მეფრინველე.

ბაღდასარიანი ვაჩიგან ისაკის-ძე — წითელწყაროს რაიონის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბაღდასაროვი გიორგი კარპეტის-ძე — სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბარისხის სახელმწიფო ინსპექციის უფროსის მოადგილე.

ბაღდასაროვი სარქის ამოტის-ძე — ქ. თბილისის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს № 2 ტრამვაის დეპოს ამწყობი-ზეინკალი.

ბადასიანი ვეგენია ზურაბის ასული — წალკის რაიონის აბოვიანის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი.

ბადაშვილი ვახტანგ ალექსანდრეს-ძე —საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამმართველოს უფროსი.

ბაძაძე ვარლამ ნესტორის-ძე — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეფუტკრეობის სამმართველოს უფროსი.

ბადრიაშვილი ეთერ გიორგის ასული— თბილისის ტანსაცმელეაჭრობის საგეგმო განყოფილების უფროსი.

ბაზაძე ალექსანდრე ბაგრატის-ძე — საჩხერის რაიონის სოფელ მახათაურის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბაზაძე აპოლონ გიორგის-ძე — საქართველოს წყალთა მეურნეობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის პროექტის მთავარი ინჟინერი.

ბაზიერაშვილი დავით ივანეს-ძე — თელავის რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბაიშვილი პაღელ ალექსის-ძე — წითელწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედის კოლმეურნეობის უფროსი მეფუტკრე.

ბაინდურაშვილი გიორგი დიმიტრის-ძე — გორის რაიონის სოფელ ახალუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ბაიაძე ვალერიან ზურაბის-ძე — გორის რაიონის სოფელ მერეთის კოლმეურნეობის ტრაქტორისტი.

ბაინოი ნიკოლოზ გიორგის-ძე — გურჯაანის რაიონის სოფელ შამბანის კოლმეურნეობის მერგოლური.

ბაირამოვი ალამალი ყურბან ოღლი — გარდაბნის რაიონის სამგორის საჯიშე მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

ბაირამოვი მუსა ბაირამ ოღლი — გარდაბნის მეხილეობა-მევნახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

ბაკაშვილი ოთარ ალექსის-ძე — წნორის მექანიკური ქარხნის უფროსი ოსტატი.

ბაკრაძე აკაკი ვიქტორის-ძე — კინოსტუდია „ქართული-ფილმის“ სასცენარო სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე.

ბაკრაძე გიორგი სილობისტროს-ძე — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილე.

ბაკურაძე გივი ლავრენტის-ძე — ჩორდის ბარიტის მაღაროთა სამმართველოს გამამდიდრებელი ფაბრიკის ზეინკალი.

ბაკურაძე დადაშ ალექსანდრეს-ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სარემონტო-მექანიკური საამქროს დგანების გამწყობი.

ბაკურაძე დომიტრი იოსების-ძე — ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე.

ბაკურაძე მურმან პარმენის-ძე — ბაგრის ავტოსატრანსპორტო კანტორის უფროსი.

ბაკურაძე ხუსეინ ალის-ძე — ჩოხატაურის ავტოსატრანსპორტო კანტორის მოფერი.

ბალახაშვილი სტეფანე მიხეილის-ძე — ადიგენის რაიონის ოუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბალაშვარაშვილი სოფიო ზაქარიას ასული — გორის რაიონის სკრის საცდელი სადგურის აგროტექნიკოსი.

ბალიაშვილი სიმონ ალექსის-ძე — წითელწყაროს რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური.

ბალლიანი ივანა თოროსის ასული — წალკის რაიონის სოფელ კუშჩის კოლმეურნეობის მწველავი.

ბალხამიშვილი მართა თევდორეს ასული — კასპის რაიონის სოფელ სამთავისის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბენეტაშვილი გიორგი ანტონის-ძე — თბილისის ორთოქმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშა.

ბარაბაძე გალინა თევდორეს ასული — წულუკიძის რაიონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

ბარაბაძე მიხეილ ილიას-ძე — რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სამმართველოს უფროსი.

ბარამიძე გურამ ათანასეს-ძე — ქარხანა „ელექტროავტომატის“ ელექტროშემდუღებელი.

ბარამიძე ვასილ ივანეს-ძე — საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილე.

ბარამია ანდრო ანტონის-ძე — ცხაკაიის რაიონის სოფელ ლეძიძაეთის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

ბართაშვილი გალიკო შალვას-ძე — ხაშურის რაიონის კოლმეურნეობა „ზემო ქართლის“ კოლმეურნე.

ბარახუტი შალვა ოსების-ძე — თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებელო ქარხნის ფოტო-ქიმგრავიორი.

ბარბაქაძე კარპეზ ზაქარიას-ძე — ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ბორითის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბარნოვი ანდრია ვასილის-ძე — საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილე.

ბართაია ევგენი ფილიპეს-ძე — ჟურნალ „საქართველოს ბუნების“ რედაქტორი.

ბასიაშვილი ალექსი დავითის-ძე — „საქსოფლტექნიკის“ გორის რაიონული განყოფილების ტრაქტორისტი.

ბასილაძე გიორგი ბარნაბის-ძე — ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშა.

ბატიაშვილი ზაქარია ნიკოლოზის-ძე — გურჯაანის სალიანდაგო დისტანციის ბრიგადირი.

ბაუეაძე ალექსანდრე მახმუდის-ძე — საზოგადოება „ცოდნის“ აჭარის საოლქო ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე.

ბახსოლიანი თენგიზ ივანეს-ძე — ფიქალ-მარმარილოს კომბინატის დირექტორი.

ბათხაძე ვასილ თევდორეს-ძე — კასპის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსი აგრონომი-მეთესლე.

ბახუტაშვილი ელიზბარ გიორგის-ძე — „ბომბეულმრეწველობა „განათლების“ უფროსი რედაქტორი.

ბახტაძე ნოდარ ასლანის-ძე — სახალხო კონტროლის სამტრედიის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

ბაცაშვილი ვარდენ ალექსის-ძე — თელავის რაიონის 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

ბაჩანაძე აირონ გაბრიელის-ძე — წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის მწყემსი.

ბებია ამბროსი თეიმურაზის-ძე — ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ქვედა ჩხოროწყუს კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბებურაშვილი მიხეილ ნიკოლოზის-ძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექციის უფროსი.

ბეგაშვილი მიხეილ ივანეს-ძე — სიღნაღის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მწყემსი.

ბეღლაძე გრიგოლ ვლადიმერის-ძე — ტრესტ „ტყიბულქვანახშირის“ ლენინის სახელობის შახტის უბნის უფროსი.

ბეგიაშვილი ვასილ დავითის-ძე — სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბეგიაშვილი ქრისტინე ბესარიონის ასული — წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბედიანაშვილი ეკატერინე მელიტონის ასული — მარნეულის რაიონის თამარისის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის მუშა.

ბედინეიშვილი ბორის დავითის-ძე — ლანჩხუთის რაიონის სოფელ ზემო აკეთის კოლმეურნეობის ფერმის გამგე.

ბეეუაშვილი ოთარ პოლიკარპეს-ძე — თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის თავმჯარი ინჟინერი.

ბილილაშვილი ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე — სამოქალაქო ავიაციის საქართველოს სამმართველოს რაზმის მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში.

ბილილეიშვილი გიორგი გერასიმეს-ძე — თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ოსტატის თანაშემწე.

ბილილეიშვილი გიზო სერგის-ძე — თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხნის საამქროს უფროსი.

ბილილეიშვილი ლოლა ჭიკიოს ასული — წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბიგანაშვილი ვარდან მაქსიმეს-ძე — კასპის რაიონის სოფელ ქვემო ჭალის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბიძინაშვილი ვალერიან დიმიტრის-ძე— ტრესტ „საქსოფლელექტრომშენის“ № 7 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს ელექტრომონტიორთა ბრიგადირი.

ბიძინაშვილი ზაქარია მოსეს-ძე — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილე.

ბიკაშვილი ივანე ნიკოლოზის-ძე — სიღნაღის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ბიკაშვილი რობინზონ ივანეს-ძე — წითელწყაროს რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ტრაქტორისტი.

ბილანიშვილი ბესარიონ ალექსანდრეს-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურის პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს სამეწარმეო პურის ინსპექციის სამმართველოს უფროსი.

ბილისეიშვილი ვასილ სერაპიონის-ძე— ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატის მუშა.

ბინატოვა კაკლიკ ისა ყიზი — მარნეულის რაიონის მუღანლოს სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობის მუშა.

ბიწაძე ვალენტინა ილიას ასული — სოფელ ქვაცოხის კოლმეურნეობის კოლმეურნე, ქ. ჭიათურა.

ბიწაძე დუმიკო გიორგის-ძე — თბილისის სალიანდაგო დისტანციის შემკეთებელი მუშა.

ბლიაძე ჰუსეინ შალვას-ძე — თბილგვარამაბრეშის ზეინკალი-მეშონტაჟე.

ბლუაშვილი დავით ევსევეს-ძე — ახალციხის ხეხილის სახელმწიფო სანერგის ტრაქტორისტი.

ბლუდოვა მარიამ ივანეს ასული — დმანისის რაიონის კუბიშევის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი.

ბოგდანოვა პოლინა ნიკოლოზის ასული — თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის ოსტატი.

ბოძაშვილი ნიკოლოზ სოლომონის-ძე — წითელწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედის კოლმეურნეობის უფროსი მწყემსი.

ბოკერია ალექსანდრე ანთიმოზის-ძე— ლიათიმმომარაგება-გასაღების სამმართველოს უფროსი.

ბოკერია ვახტანგ პლატონის-ძე — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობის უფროსი კონსულტანტი.

ბოკერია დიმიტრი პეტრეს-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განყოფილების გამგე.

ბოკერია პეტრე დიმიტრის-ძე — პენსიონერი, ქ. თბილისი.

ბოყოველი ვლადიმერ პლატონის-ძე— ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ კალინინის სახელობის მაღაროთა სამმართველოს უბნის უფროსი.

ბოკუჩავა ნოე სოლომონის-ძე — აბაშის რაიონის სოფელ ნორიოს კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბოლქვაძე გრიგოლ კონსტანტინეს-ძე— ლანჩხუთის რაიონის სოფელ ხიდმაღლის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

ბოლქვაძე ნათელა დავითის ასული— მახარაძის რაიონის „საქართველოს“ სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბონდარენკო ნიკოლოზ კუზმას-ძე — „ჭიათურბინაშენის“ სამშენებლო სამმართველოს მექანიკოსთა ბრიგადირი.

ბორისენკო ლიდია იაკობის ასული — საქმონტაჟსაქმშენის განყოფილების უფროსის მოადგილე.

ბოროდინი დიმიტრის-ძე — ლაგოდეხის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბორტაშვილი პეტრე თადეოზის-ძე — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სავეტერინარო სამსახურის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

ბორჩხაძე იოსეფ სერგის-ძე მახარაძის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორის შოფერი.

ბოცკაძე ალექსანდრე იორდანეს-ძე — ჩოხატაურის რაიონის სოფელ დაბლაცოხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ბოჭორიძე ივანე ივანეს-ძე — ნებაყოფლობითი სასპორტო ორგანიზაცია „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე.

ბოჭორიშვილი აკაკი ნიკოლოზის-ძე — თერჯოლის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბოჭორიშვილი ლეონ ვიქტორის-ძე — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს განყოფილების უფროსი.

ბოჭორიშვილი ლუცია ამბიეთელის ასული — ლაგოდეხის რაიონის ჭაკვეთაძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

ბოჭორიშვილი მიხეილ ვიქტორის-ძე— სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის თბილისის საქალაქო სამმართველოს უფროსი.

(გაგრძელება იქნება).

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ Ა. ნ. ᲙᲝᲡᲘᲒᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ Გ. Ა. ᲜᲐᲡᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

კაირო, 17 მაისი. (საკდესი). 17 მაისს „კუბის“ სასახლეში საბჭოთა მთავრობის დელეგაციის მეთაურმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა გ. ა. ნასერმა დაამთავრეს მოლაპარაკება, რომელიც არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში საბჭოთა მთავრობის დელეგაციის ვიზიტის დროს დაიწყო. მოლაპარაკება შეეხო ურთიერთსაინტერესო საერთაშორისო მდგომარეობის ფართო წრის საკითხებს, აგრეთვე სსრ კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ორმხრივი ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების საკითხებს. მოლაპარაკება მიმდინარეობდა ურთიერთგაგებისა და გულითადობის ვითარებაში.

მიღწეულია შეთანხმება ერთობლივი კომუნიკეს შესახებ, რომელიც ერთდროულად გამოქვეყნდება მოსკოვსა და კაიროში.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ მთავრობის დელეგაციის წევრები: სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მინისტრი ნ. ს. ნეპოროჟნი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ფლოტის ადმირალი ს. გ. გორშკოვი, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში დ. პ. პოფიდოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგეები ლ. მ. ზამიატინი და ა. დ. შჩიბორინი.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მხრივ — პირველი ვიცე-პრეზიდენტი ალ-ბაშალი აბდელ ჰაკმ ამერი, პრემიერ-მინისტრი ზაქარია მოჰი-ედ-დინი, ეროვნული კრების თავმჯდომარე ანვარ სადატი, ვიცე-პრეზიდენტი. ჰუსეინ შაფეი, არაბთა სოციალისტური კავშირის გენერალური მდივანი ალი საბრი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე საგარეო საქმეებში მაჰმუდ ფაუზი, საგარეო საქმეთა მინისტრი მაჰმუდ რიადი და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში მურად ჰალები.

ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝᲑᲐ „ᲙᲣᲑᲘᲡ“ ᲡᲐᲡᲐᲰᲚᲘᲡᲨᲘ

კაირო, 18 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ საღამოს საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის მეთაურმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა საბჭოთა მთავრობის დელეგაციის რეზიდენციაში — „კუბის“ სასახლეში დიდი დარბაზობა გამართა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერის პატივსაცემად.

დარბაზობაზე იყვნენ პირველი, ვიცე-პრეზიდენტი მარშალი აბდელ ჰაკმ ამერი, პრემიერ-მინისტრი ზაქარია მოჰი ედ-დინი, ეროვნული კრების თავმჯდომარე ანვარ სადათი, საგარეო მისიის მეთაური ვიცე-პრეზიდენტი ჰუსეინ შაფი, არაბთა სოციალისტური კავშირის მენერალური მდივანი ალი საბრი, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილეები, მთავრობის წევრები, ეროვნული კრების დეპუტატები, აგრეთვე არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში მურად ჰალები, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უმაღლესი ოფიცრები, უცხოელი დიპლომატები, მრავალი სტუმარი.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრები ა. ა. გრომიკო, ჰ. ს. ნეპოროჟნი, ს. ა. სკაჩკოვი, ფლოტის ადმირალი ს. გ. გორშკოვი, სსრ კავშირის ელჩი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში დ. პ. პოფიდოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგეები ლ. მ. ზამიატინი და ა. დ. შჩიბორინი. არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში საბჭოთა ორგანიზაციებისა და წარმომადგენლობების ხელმძღვანელები, საბჭოთა სელჩოს თანამშრომლები.

დარბაზობაზე ა. ნ. კოსიგინმა და გ. ა. ნასერმა სიტყვები წარმოთქვეს.

დარბაზობამ მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში ჩაიარა.

Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘᲒᲘᲜᲘ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲰᲐᲡᲐᲜ ᲐᲚ-ᲐᲛᲠᲘᲡ

კაირო, 18 მაისი. (საკდესი). დღეს დილით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი მეგობრულად ესაუბრა იემენის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ჰასან ალ-ამრის, რომელიც ამჟამად კაიროშია.

ᲚᲐᲝᲡᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲔ ᲡᲝᲭᲨᲘ

მოსკოვი, 18 მაისი. (საკდესი). დღეს მოსკოვიდან სოჩს გაემგზავრნენ დასასვენებლად მისი უდიდებულესობა ლაოსის მეფე შრი სავანგ ვათხანა, მისი უდიდებულესობა ლაოსის დედოფალი და ბრინცი სი სავანგი.

ვნუკოვოს აეროდროზე, რომელიც ოთხი საათით ადრე ლაოსისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, სპეციალური ტრაბანტებით დასახა. ამ ალმებზე ასევე ასახულია ლენინის ორდენი, ეროვნული კრების ალმებზე — „ლაოსი“ სასახლეში „ოქროს ფანჯრის“ ბანკეტი. ბანკეტზე ამოქმედა ლაოსის ეროვნული ჰიმნი, ეროვნული კრების თავმჯდომარე ანვარ სადატი, ვიცე-პრეზიდენტი. ჰუსეინ შაფეი, ეროვნული კრების ფრაქციების ლიდერები, ეროვნული კრების დეპუტატები, აგრეთვე არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში მურად ჰალები, ასევე ელჩები: ალბანეთი, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, ინდოეთი, ინდონეზია, ირანი, ირლანდია, ისლანდია, ესპანეთი, ლიბანი, ლიბია, ნეპალი, ნიგერია, ნორვეგია, ავსტრია, ალჟირი, ანგოლა, ბელგია, ბურმა, ბრაზილია, ბულგარეთი, ბურუნდი, ბენინი, ბერძნეთი, ბელორუსი, ბოლივია, ბოსნიერ-ჰერცეგოვინა, ბოტსვანა, ბრიტანეთი, ბენინ-ბენინ, ბენინ-ბენინ, ბენინ-ბენინ, ბენინ-ბენინ, ბენინ-ბენინ, ბენინ-ბენინ, ბენინ-ბენინ, ბენინ-ბენინ, ბენინ-ბენინ, ბენინ-ბენინ, ბენინ-ბენინ, ბენინ-ბენინ, ბენინ-ბენინ, ბენინ-ბენინ, ბენინ-ბენინ, ბენინ-ბენინ, ბენინ-ბენინ, ბენინ-ბენინ,

ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატები

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ექვსი...

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმზე გასული წლის დეკემბერში შეტანილ იქნა წინადადება დაწესდეს ლენინური კომკავშირის პრემიები საუკეთესო ნაწარმოებებისათვის ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში. ეს ნაწარმოებები მთავაზებულად უნდა მოგვითხრობდნენ ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა თაობის, მისი ავანგარდის — კომკავშირის საგმირო საქმეებზე კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში, გვიჩვენებდნენ ქალიშვილთა და ჭაბუკთა მდიდარ სულიერ სამყაროსა და მაღალ მორალურ თვისებებს, ამათს მისწრაფებას თავდადებით და ერთგულად ემსახურონ ხალხს, პარტიას, ლენინის საქმეს.

გადაწყდა, რომ პრემიებს მიაკუთვნებს საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი ყოველწლიურად, კომკავშირის დაბადების დღეს, 29 ოქტომბერს. დაჯილდოებულნი იღებენ ლაურეატის სპეციალურ დიპლომს, სამკერდე ნიშანს და ფულად პრემიას 5 ათასი მანეთის ოდენობით. ლაურეატების სახელები შეეკვეთ საკავშირო ალკკ „სპეციალურ წიგნში“.

წელს საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ ცნო პრემიების მიკუთვნება შეუფარდოს კომკავშირის XV ყრილობის გახსნას.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 14 მაისს გაიმართა, კომკავშირული ორგანიზაციების წარდგინებით მიაკუთვნა პირველი ექვსი პრემია. ლენინური კომკავშირის პრემიების ლაურეატთა სახელები გამოქვეყნდა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის XV ყრილობაზე.

ინტერვიუ ლაურეატთან

ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი ნოდარ დუმბაძე საკავშირო ალკკ XV ყრილობას ესწრება როგორც სპეციალური დელეგატი. გუშინ გაზეთ „კომუნისტის“ მოსკოველი კორესპონდენტი შესვენების დროს შეხვდა მწერალს, მიულოცა ჯილდო და ინტერვიუ სთხოვა.

— ასეთ დროს პირველყოვლისა ადამიანს მაღლობის გადახდა გმართებს, — ამბობს ლაურეატი, — საამაყოა, რომ კომკავშირის პრემიის პირველ ლაურეატთა შორის არის სახელი ნიკოლოზ ოსტროვსკისა. მის შესანიშნავ ნაწარმოებებზე თაობები აღიზარდნენ და კვლავაც აღიზრდებიან ჰუმანიზმისა და პატრიოტიზმის სულისკვეთებით.

ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებისათვის ლენინური კომკავშირის პრემიების მიკუთვნების შესახებ

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის დადგენილება

განიხილა რა საკითხი ლენინური კომკავშირის პრემიების მიკუთვნების შესახებ, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეცხრე პლენუმი ადგენს:

მიეკუთვნოს ლენინური კომკავშირის პრემია გამოჩენილ საბჭოთა მწერალს **ოსტროვსკის** ნიკოლოზ ალექსის-ძეს, ავტორს უკვდავი წიგნებისა — „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ და „ქარიშხლით შობილნი“, იმ ნაწარმოებებისა, რომლებიც კომკავშირის საბრძოლო იარაღი გახდნენ მილიონობით ახალგაზრდა საბჭოთა პატრიოტის, კომუნისტთა უფროსი თაობების ღირსეული ცვლის აღზრდაში.

მიეკუთვნოთ ლენინური კომკავშირის 1966 წლის პრემია ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებისათვის და გადაეცეთ ლაურეატის დიპლომი და მედალი:

დუმბაძეს ნოდარ ვლადიმერის-ძეს, მწერალს — მოთხრობებისათვის „მე ვხედავ მზეს“ და „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.

წარადგინეს საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს მწერალთა კავშირმა, გამომცემლობა „დეტსკაია ლიტერატურამ“.

ჟალაკიავიჩუსს ვიტაუტას პრანის-ძეს, კინორეჟისორს — კინოფილმის „სიკვდილი არავის არ უნდოდა“ სცენარისა და რეჟისურისათვის.

წარადგინეს ლიტვის ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, ჟურნალ „სოვეტსკი ეკრანის“ სარედაქციო კოლეგიამ.

პახმუტოვას ალექსანდრა ნიკოლოზის ასულს, კომპოზიტორს — ახალგაზრდობასა და კომკავშირზე სიმღერების ციკლისათვის.

წარადგინეს ბრატსკის ჰესის მშენებელთა კომკავშირულმა ორგანიზაციამ, ვლადიმირის საოლქო კომკავშირულმა კონფერენციამ, როსტოვის საოლქო კომკავშირულმა კონფერენციამ, არხანგელსკის ოლქის ლეშუკონსკოეს რაიონულმა კომკავშირულმა კონფერენციამ, ცელინოგრადის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „კიომინსკის“ კომკავშირულმა ორგანიზაციამ, სოფელ უსტ-პრისტანის საშუალო სკოლის კომკავშირის კომიტეტმა, ჩრდილოეთის ფლოტის კომკავშირულმა ორგანიზაციამ, გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ სარედაქციო კოლეგიამ.

ჩივილიხინს ვლადიმერ ალექსის-ძეს, მწერალს — მოთხრობებისათვის „ვერცლის რელსები“, „კლავა ივანოვას შესახებ“ და „ოოლკი-მოტალკი“.

წარადგინეს ჟურნალ „მოლოდაია გვარდიას“ რედაქციამ, გამომცემლობა „მოლოდაია გვარდიამ“, საკავშირო ალკკ ნოვოსიბირსკის საოლქო კომიტეტმა.

ლენინური კომკავშირის სახელობის ნორჩი მაყურებლის თეატრს (კიევი) — სპექტაკლისათვის „ახალგაზრდა გვარდია“.

წარადგინეს უკრაინის ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, უკრაინის სსრ კულტურის სამინისტრომ, უკრაინის თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმმა.

სურათებზე: მარცხნიდან მარჯვნივ — ნიკოლოზ ოსტროვსკი; მწერალი ნოდარ დუმბაძე ქალიშვილთან; კომპოზიტორი ალექსანდრა პახმუტოვა კონცერტის დროს; კინორეჟისორი ვიტაუტას ჟალაკიავიჩუსი ესაუბრება თავისი ფილმის მომავალ გმირს; მწერალი ვლადიმერ ჩივილიხინი სამუშაო მაგიდასთან; ქვემოთ — სცენა სპექტაკლ „ახალგაზრდა გვარდიიდან“ კიევის ლენინური კომკავშირის სახელობის ნორჩი მაყურებლის თეატრში.

საბჭოთა საქართველო

საბჭოთა ეკონომიკის ხსოვნისათვის

პარიზი, 18 მაისი. (საკდესი). სსრ კავშირის ელჩმა საფრანგეთში ვ. ა. ზორინმა ფასიანი საჩუქრები გადასცა ფრანგ არქიტექტორთა დიდ ჯგუფს — ქალაქ პერიგში (დორდონის დეპარტამენტი) საბჭოთა მეორმრების ძეგლის შექმნისათვის მოწყობილი კონკურსის მონაწილეებს. მეორე მსოფლიო ომის წლებში საფრანგეთის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპული საბჭოთა ჯარისკაცების ძეგლი შეიქმნა საბჭოთა კავშირის მეგობრების, წინააღმდეგობის მოძრაობის ყოფილი მონაწილეების, „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ საზოგადოების წევრების ინიციატივითა და სახსრებით.

ძეგლი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა წინა კვირას. მისი ავტორია არქიტექტორი მ. კიდენისი, რომელმაც ბრეველი ადგილი დაიკავა გასული წლის დამოვევს გამართულ დასურულ კონკურსში.

ძეგლი მონუმენტური გრანიტის ობელისკია, რომელიც დადგმულია ცსსრ საბჭოთა ჯარისკაცის ძმათა სასაფლაოზე. ძეგლზე ამოკვეთილია დაღუპულ მეომართა სახელები და პარტიზანული ზედმეტი სახელები.

ვ. ა. ზორინმა, რომელმაც საჩუქრები გადასცა არქიტექტორებს მ. კიდენისს, გიიეს, რიკუასს, ჟილბერსა და კონკურსის სხვა მონაწილეებს, დიდი მადლობა გადაუხადა ფრანგ მეგობრებს, ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ძეგლის შექმნაში. ჩვენი ხალხების მეგობრობა, თქვა, კერძოდ, ელჩმა, ომის წლებში საჭირო იყო ფაშიზმზე გამარჯვებისათვის, იგი საჭიროა ახლაც მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

ინდოეთიის პარლამენტის ახალი თავმჯდომარე

პარიზი, 18 მაისი. (საკდესი). გუშინ ინდოეთის პარლამენტის სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარედ ირჩიეს ამჟამ შეიპუ, იუწყება ჯაკარტიდან ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი. ა. შეიპუ მუსლიმური პარტიის „ნაჰდატულ ულამის“ თავმჯდომარის მოადგილეა.

ლ. ჯონსონის გამოსვლა

ნიუ-იორკი, 18 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ლ. ჯონსონი გუშინ საღამოს ჩიკაგოში ჩავიდა ტრადიციულ სადილზე გამოსასვლელად, რომელიც დემოკრატიული პარტიის ფონდისათვის სახსრების შესაგროვებლად გაიმართა. იგი ჩასვლისთანავე წაიყვანა სპარტისტი დემონსტრაციის. დემონსტრანტები პროტესტს აცხადებდნენ ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიისა და ჩიკაგოს სოლტაში რასობრივი სეგრეგაციის წინააღმდეგ, 250-მდე დემონსტრანტს — ძირითადად ორგანიზაციის „სტუდენტები დემოკრატიული საზოგადოებისათვის ობრძვიან“ და ჩიკაგოს ვიეტნამის ომის შეწყვეტისათვის მებრძოლი კომიტეტის წევრებს — მოჰკრთნა პლაკატები, რომლებზეც წარწერილი იყო ლოზუნგები: „ოსვენციმი, დახაუ, ვიეტნამი“, „ახლავე დაბრუნეთ ამერიკელი ჯარისკაცები შინ“.

ჯონსონის გამოსვლა ძირითადად ვიეტნამის პრობლემას მიეძღვნა. პრეზიდენტმა თქვა, რომ „მომავალი გზა (ვიეტნამში) ძნელი იქნება“, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები, განაცხადა მან, უკან არ დაიხევენ. ჯონსონმა თქვა, რომ მარტო წელს ვიეტნამში დაიღუპა 1705 ამერიკელი.

ჯონსონმა გაიცხა ის ამერიკელები, რომლებიც მხარს არ უჭერენ მთავრობის სავიეტნამო პოლიტიკას. მან განაცხადა, რომ ისინი ილაშქრებენ თავიანთი ხელმძღვანელების წინააღმდეგ, თავიანთი ქვეყნის წინააღმდეგ, ვიეტნამში მებრძოლი ამერიკელი ჯარისკაცების წინააღმდეგ. მთავრობის სავიეტნამო პოლიტიკას, რომელიც სულ უფრო და უფრო არაპოპულარული ხდება, პრეზიდენტმა „ეროვნული“ პოლიტიკა უწოდა. მან მოუწოდა ამერიკელებს დაიდგაყონ ვიეტნამის ომთან დაკავშირებით წარმოშობილი უთანხმოებანი და გაერთიანდნენ ეროვნული ინტერესებისათვის.

რასკის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 18 მაისი. საკდესის კორესპონდენტები ვ. ვაშედენკო და ვ. პეტრუსენკო იუწყებიან:

გუშინ სახელმწიფო მდივანმა რასკმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ აქ მყოფ ინგლისის მინისტრ ტომსონთან ერთად განიხილა ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის პრობლემები. რასკმა აღნიშნა, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირში შემავალი 14 ქვეყნის მთავრობები ახლა იხილავენ საკითხს, სად გადაიტანონ ნატოს შტაბები იმასთან დაკავშირებით, რომ საფრანგეთი მოითხოვს მათ გადატანას თავისი ტერიტორიიდან. რასკმა თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საფრანგეთთან ორმხრივი მოლაპარაკების გზით განიხილავენ საფრანგეთის ტერიტორიაზე არსებული ამერიკის ბაზებისა და ნავთობსადენთა საკითხს, როცა ვაშინგტონი პარიზისგან მიიღებს „ზოგიერთ დაზუსტებას“. რასკი კვლავ მოითხოვდა „სოლიდარობისა და ერთობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას ნატოში.

რასკს ბევრი კითხვა მისცეს სამხრეთ ვიეტნამში მწვავე პოლიტიკურ და სამხედრო კრიზისთან დაკავშირებით. სახელმწიფო მდივანმა აღიარა, რომ უთანხმოებაა სამხრეთ ვიეტნამის სხვადასხვა პოლიტიკურ, სამხედრო და რელიგიურ დაჯგუფებას შორის. მან განაცხადა, რომ პრეზიდენტმა ჯონსონმა სამხრეთვიეტნამელ ბუდისტთა ხელმძღვანელებს გაუგზავნა სპეციალური წერილი, რომელშიც მოუწოდებს მიაღწიონ ერთობას ქვეყანაში. ამავე დროს რასკის აზრით არ არის გამორიცხული, რომ კვლავ გაგრძელდეს უთანხმობა სამხედრო ხუნტის ბანაკში, გაგრძელდეს „სამოქალაქო განხეთქილება“ ამ ნიადაგზე, სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები განიხილავენ ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვას.

რასკმა აღნიშნა, რომ აქ დამთავრდა კონსულტაციები ამერიკის შეერთებული შტატების ელჩთან სამხრეთ ვიეტნამში ლოჯთან და განაცხადა, არ უნდა მოველოდეთ, რომ ამ კონსულტაციების შედეგად შეიცვლება ამერიკის პოლიტიკა ვიეტნამში.

შეწყდეს ომი ვიეტნამში!

ვაშინგტონი, 17 მაისი. (საკდესი). „დროა ამერიკელმა ხალხმა მოითხოვოს, რომ შეწყდეს ომი ვიეტნამში“, — განაცხადა გუშინ სენატორმა მორზემ (დემოკრატი, ორეგონის შტატისაგან).

ამავიდრა რა სენატში, სენატორმა მოუწოდა ამერიკის საზოგადოებრიობას მოსთხოვოს თეთრ სახლს, რომ „შეწყვიტოს ომი, რომელიც ამერიკელი ჯარისკაცებისაგან მოითხოვს ხოცონ ვიეტკონგელები, მაშინ როცა სამხრეთვიეტნამელი ჯარისკაცები ერთმანეთის წინააღმდეგ ომობენ“.

სამხრეთროდეზიელ რასისტთა მორიგი პროვოკაცია

ნიუ-იორკი, 18 მაისი. (საკდესი). ზამბიის მთავრობა გუშინ შეიკრიბა საგანგებო სხდომაზე. ეს ღონისძიება გამოიწვია სამხრეთროდეზიელ რასისტთა მორიგმა პროვოკაციულმა აქციამ. როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს ლუსაკელი კორესპონდენტი იუწყება, სამხრეთ როდეზიის ხელისუფლებამ მოსთხოვეს ზამბიას დღეიდან ნიანსწარ გადაიხადოს მტკაცე ვალუტით გადასახადი, სამხრეთ როდეზიის ტერიტორიის გავლით ზამბიის სპილენძის გატანისათვის. ზამბიის მთავრობამ უარყო ეს დაუსაბუთებელი მოთხოვნა.

დღემდე ზამბიის საექსპორტო სპილენძის ძირითადი ნაწილი მოზამბიკის ბეირის ნავსადგურში მიჰქონდათ სამხრეთ როდეზიის ტერიტორიაზე გამავალი რკინგზით. სპილენძი ზამბიის მთავარი სამდიდრეა. სამხრეთროდეზიელ რასისტთა მორიგ აქტს შეუძლია სერიოზული ზარალი მიაყენოს ზამბიის ეკონომიკას.

ზამბიის მთავრობის საგანგებო სხდომამ უნდა განიხილოს შექმნილი სიტუაცია.

ნინ პარის მანევრული ბრძოლა

როგორც მკითხველს ახსოვს, გამარჯვების დღეს, 9 მაისს პეტროსიანი ავად გახდა და აიღო ტაიმ-აუტი. მაგრამ ამ დღეს ხომ საბჭოთა მოჭადრაკეებისათვის ორმაგი ზეიმი იყო. 1948 წლის 9 მაისს მიხეილ ბოტვინიკი პირველი საბჭოთა მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ბოტვინიკის ეპოქა 1963 წელს დამთავრდა, როცა მან ესტაფეტა ახალგაზრდა გროსმაისტერ მიხეილ ტალს გადასცა. ბოტვინიკის „მეფობის“ დროს მისი მატჩები მსოფლიოს პირველობაზე იწყებოდა 10 მარტს და დაახლოებით 10 მაისს მთავრდებოდა.

პეტროსიანსა და სპასკის სხვა გრაფიკი აქვთ. მათ თერთმეტ პარიკს დაიწყეს და, ეტყობა, ივნისის დასაწყისში დაამთავრებენ ბრძოლას. ამ დროისათვის კი მოსკოვში ძალიან ცხელი, ხოლო ეს ერთგვარ უპირატესობას სამხრეთელს — პეტროსიანს აძლევს. ძლიერი სიცხე ცუდად მოქმედებს გულშემატკივრებზე. ისინი მეტად სიამოვნებით მიდიან პარკებში, ვიდრე ჭადრაკის ოთახში. გუშინ კი, საერთოდ, მათ ფეხბურთი ამჯობინეს, რადგან ტელევიზიით გადასცემდნენ მატჩს სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის.

რას აკეთებდნენ თვით მოწინააღმდეგენი? ისინიც სიცხემ შეაწუხა. სპასკიმ ფიჭკი გაიხადა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი მძაფრი ბრძოლისაკენ მოისწრაფოდა.

პრეტენდენტი. უკანასკნელი ექვსი პარტიის განმავლობაში მოისწრაფვის მძაფრი ბრძოლისაკენ. თეთრებით და შავებით თამაშისას იგი ართულებს ბრძოლას.

რა უნდა ეწოდოს დებიუტს, რაც გუშინ მეტოქეებმა გათამაშეს? ეტყობა, სპასკის ვარიანტი, რადგანაც ასე მის გარდა არავინ თამაშობს. პეტროსიანი არ ცდილა დებიუტში უპირატესობის მიღებას. და რადგან არ უცდია არც მიუღია, არ შეიძლება ითქვას, რომ მეთექვსმეტე პარტია საინტერესო გამოდგა. პეტროსიანს ყაიმი სურდა, ამიტომ მან ჩაკეტა ლაზიერის ფრთა და თამაშმა საყაიმო ხასიათი მიიღო. სპასკი ბრძოლას განაგრძობდა და თამაში მეფის ფრთაზე გადაიტანა. პარტია დაუმთავრებელი დარჩა.

პრეტენდენტის კუ ჩემპიონის მხედარზე უფრო აქტიურია. წინაა მანევრული ბრძოლა. სპასკის პოზიცია უკეთესად უნდა ჩაითვალოს.

სალო ფლორი,
გროსმაისტერი.

პარტია გადაიდო ასეთ პოზიციაში:



a b c d e f g h

თეთრებმ: ტ. პეტროსიანი — მფg1, ლd3, ეf1, ეf2, მe3, პ.-ბი — a4, b5, c3, e4, f3, g2, h2 (12).

შავებმ: ბ. სპასკი — მფh8, ლg7, ეf8, ეf7, ეe6, პ.-ბი — a5, b6, c7, d6, e5, g5, h5 (12).

თეთრებმა ჩაიწერეს 41-ე სვლა.

ჩემპიონატის სტარტზე

გუშინ თბილისში, რესპუბლიკურ ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დაიწ[illegible] საქართველოს პირველობის გათამაშე[illegible] ჭადრაკში ქალთა შორის.

შეხვედრათა უმრავლესობა შედეგ[illegible] აღმოჩნდა. საერთაშორისო ოსტატი [illegible] ჩაიკოვსკაია წარმატებით იბრძოდა [illegible] ლილიშვილის წინააღმდეგ და პირველ[illegible] ქულა ჩაიწერა სატურნირო ცხრილ[illegible]. მანველოვამ მოუგო — ა. ბაძაღუ[illegible], ნ. ხუბულურმა — ა. სვანიძეს, ლ. [illegible] ჭყონიამ — თ. ჩხოკვაძეს, ც. კობაძეს [illegible] მ. ჩომახიძეს, ც. კახაბრიშვილმა — [illegible] ივანოვას. ნ. გიორგაძე-ზ. შენგელიას [illegible] ტიაში მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნ[illegible].

◆

მხოლოდ ერთი რეკორდ[illegible]

გუშინ ნოვოსიბირსკში დამთავ[illegible] ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშ[illegible] ძალოსნობაში. საშუალოზროდ, ჩემპიონ[illegible]ზე დამყარებულ იქნა მხოლოდ ერ[illegible] რეკორდი.

ასპარეზობის უკანასკნელ დღეს პა[illegible] რობა ჰქონდათ მეორე მძიმე წო[illegible] შტანგისტებს. ჩემპიონობა ხელა ვ. [illegible] დრეევს, რომელმაც სამჭიდრო აწევ[illegible] კრებმა 2:1.

სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლ[illegible] იყვნენ: ბანიკოვი, პონომარიოვი, შუ[illegible] ნიოვი, დანილოვი, ვორონინი, სპა[illegible] რეპრინინოვი, მეტრეველი. ბანიშევსკი, ლაშვილი (კოპაევი), ჩინსლინგო.

კომუნისტი

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტია მცავს თავის უფლებებს

ვაშინგტონი, 18 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ადვოკატები ჯონ ებტი და ჯოზეფ ფორერი გუშინ გამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების საუზენაესო სასამართლოში. მათ დაასაბუთეს კომუნისტური პარტიის აპელაცია კოლუმბიის ფედერალური ლუქის საოლქო სასამართლოს განაჩენის გაუქმების შესახებ, რომლის თანახმად შარშან ნოემბერში კომპარტია დაჯარიმდა 240 ათასი დოლარით იმისათვის, რომ უარი თქვა მაკარენის ანტიკომუნისტური კანონის შესაბამისად რეგისტრაციაში გატარებულიყო ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროში როგორც „ძირგამომთხრელი ორგანიზაცია“.

რეგისტრაციის მოთხოვნა, განაცხადეს კომპარტიის ადვოკატებმა, ანტიკომუნისტიტუციური ა, იგი ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-5 შეწყრებას.

მაკარენის კანონის შესაბამისად კომპარტიამ ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროს უნდა წარუდგინოს თავისი ადრესი, კომპარტიის ხელმძღვანელთა და წევრთა სიები, მთელი თავისი ფინანსური ანგარიში, საბეჭდ მანქანათა ნუსხა.

კომპარტიის ადვოკატებმა აღნიშნეს, რომ რეგისტრაცია ნიშნავს პარტიამ აღიაროს თავი „ძირგამომთხრელ“ ორგანიზაციად, რომელსაც „უცხოელები უწევენ კონტროლს“, და ეს იარიდიულ საფუძველს მისცემს იუსტიციის სამინისტროს დაიწყოს ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ახალი სასამართლო დევნა.

ადვოკატებმა ებტმა და ფორერმა საპელაციო სასამართლოს ყურადღება მიაპყრეს იმ ფაქტს, რომ მთავრობის წარმომადგენელნი მთელ თავიანთ ბრალდებას კომპარტიის წინააღმდეგ საფუძვლად უდებდნენ გამოძიების ფედერალური ბიუროს იმ დაქირავებულ აგენტთა ჩვენებებს, რომლებიც კომპარტიის რიგებში შეგზავნეს, და ამიტომ ვერ დამტკიცდა ბრალდებანი კომპარტიის წინააღმდეგ.

კომპარტიის აპელაციის გარჩევა ამერიკის შეერთებული შტატების საპელაციო სასამართლოში, როგორც ჩანს, რამდენიმე თვეს გასტანს.

კომუნისტი

გიორგაძეს თავისიანებს

ლონდონი, 18 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციულმა თვითმფრინავებმა შეთხვევით დაბომბეს სამხრეთ ვიეტნამში მყოფი ამერიკის ქვეითი ჯარის ქვეგანაყოფები, რის შედეგად დაიხოცა ორი და დაიჭრა 58 ჯარისკაცი, გამოაცხადა დღეს საგარეონში ამერიკის სამხედრო სარდლობის წარმომადგენელმა. რეიტერის კორესპონდენტი, რომელიც ამას იუწყება, აღნიშნავს, რომ ეს ინციდენტი წარსულ კვირაში მოხდა „ბრმინბომბის“ ოპერაციის დროს, რომელსაც ამერიკის ჯარები აწყობდნენ 65 კილომეტრზე საიგონის ჩრდილო-დასავლეთით.

◆

ზეწყდეს ომი ვიეტნამში!

ვაშინგტონი, 17 მაისი. (საკდესი). „დროა ამერიკელმა ხალხმა მოითხოვოს, რომ შეწყდეს ომი ვიეტნამში“, — განაცხადა გუშინ სენატორმა მორზემ (დემოკრატი, ორეგონის შტატისაგან).

ამავიდრა რა სენატში, სენატორმა მოუწოდა ამერიკის საზოგადოებრიობას მოსთხოვოს თეთრ სახლს, რომ „შეწყვიტოს ომი, რომელიც ამერიკელი ჯარისკაცებისაგან მოითხოვს ხოცონ ვიეტკონგელები, მაშინ როცა სამხრეთვიეტნამელი ჯარისკაცები ერთმანეთის წინააღმდეგ ომობენ“.

◆

სამხრეთროდეზიელ რასისტთა მორიგი პროვოკაცია

ნიუ-იორკი, 18 მაისი. (საკდესი). ზამბიის მთავრობა გუშინ შეიკრიბა საგანგებო სხდომაზე. ეს ღონისძიება გამოიწვია სამხრეთროდეზიელ რასისტთა მორიგმა პროვოკაციულმა აქციამ. როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს ლუსაკელი კორესპონდენტი იუწყება, სამხრეთ როდეზიის ხელისუფლებამ მოსთხოვეს ზამბიას დღეიდან ნიანსწარ გადაიხადოს მტკაცე ვალუტით გადასახადი, სამხრეთ როდეზიის ტერიტორიის გავლით ზამბიის სპილენძის გატანისათვის. ზამბიის მთავრობამ უარყო ეს დაუსაბუთებელი მოთხოვნა.

დღემდე ზამბიის საექსპორტო სპილენძის ძირითადი ნაწილი მოზამბიკის ბეირის ნავსადგურში მიჰქონდათ სამხრეთ როდეზიის ტერიტორიაზე გამავალი რკინგზით. სპილენძი ზამბიის მთავარი სამდიდრეა. სამხრეთროდეზიელ რასისტთა მორიგ აქტს შეუძლია სერიოზული ზარალი მიაყენოს ზამბიის ეკონომიკას.

ზამბიის მთავრობის საგანგებო სხდომამ უნდა განიხილოს შექმნილი სიტუაცია.

ტელევიზია

19 მაისი

11.00 — დოკუმენტური ფილმი, 12.05 — მხატვრული ფილმი, 13.25 — პიონერთა სახეიმო პარადი წითელ მოედანზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.30 — საზეიმო კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 18.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე, ერთმანეთს ხვდებიან „ნეფტანიკი“ (ბაქო) და „ტორპედო“ (ქუთაისი). გადმოცემა ბაქოდან, 19.45 — განცხადებები, 19.50 — „სოციალისტური ქვეყნების კინოხელოვნება“ — რუმინეთი, 20.30 — კინონარკვევი, 20.40 — გადაცემა „20 მაისის მზის დაბნელება“, 20.55 — „ახალი წიგნები“, 21.15 — კონცერტი, 21.40 მხატვრული ფილმი „ჯანყი გურიაში“ (II სერია), 22.45 — ახალი ამბები.

მეცხრე არხზე — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა 17.45.

ჩა ვიკითხოთ, ჩა ვოვისეირეთ

20 მაისი

11.00 — მხატვრული ფილმი „ჯანყი გურიაში“ (I და II სერია), 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის მოკლემეტრაჟიანი ფილმი „პიონერთა ორგანიზაციის განვლილი გზა“, 18.40 — განცხადებები, 18.45 — კინონარკვევი, 18.55 — გადაცემა — „ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის ინსტიტუტში“, 19.25 — კინონარკვევი 19.45 — გადაცემა „დედმნა შენგელაია“ (დაბადების 70 წლისთავის გამო), 20.30 — მუსიკალური ფესტივალი — დასკვნითი საღამო — კონცერტის ტრანსლაცია თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან. ინტრაქტში — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე).

თეატრები

19 მაისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — რუსული მუსიკის ფესტივალი (საღ. 8 ს. და 30 წ.), **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ქუთათელები, **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — მთაწმანდის მთვარე, **გრიბოედოვის სახელობის** — დონ-კიხოტი (მე-12 აბონ. მე-8 წარმოდგენა), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — სილვა, **ხანჯლურის** — ბრალდებული, **მოზარდ მაყურებლისა ქართული** — კოცონი შინდიგორაზე (№ 17 აბონ. საღ. 6).

რედაქტორი
დ. მეიდლიშვილი.

კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-92-03, 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 9-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 8-22-98, მრეწველობის — 8-20-84, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, ხაბჭოთა მშენებლობის — 8-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 8-16-90. უცხოეთის — 9-15-68, წერილების — 9-78-24, ილუსტრაციის — 8-28-54, განცხადებების — 8-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 04954

სტ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.